

სამართლებრივი დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმნის თავისებურებები
და გამოწვევები

ევროკავშირის ქარტიის ძირითადი უფლებების ინგლისური და ქართული
ვერსიების შედარებაზე დაყრდნობით

მარიამ დევიძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*



უცხო ენათა ფილოლოგია, მიმართულება: ანგლისტიკა

ხელმძღვანელი: ელენე ტატიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ დევიძე

14.06.2025 წელი

აბსტრაქტი

სამართლებრივი დოკუმენტები თანამედროვე საზოგადოების ფუნქციონირების ერთ-ერთ აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს. ამ დოკუმენტების სწორად თარგმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მათში ასახული ნორმები ადამიანის უფლებებს, ვალდებულებებსა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს განსაზღვრავს.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია ევროკავშირის ქარტიის ძირითად უფლებათა ინგლისური და ქართული ვერსიები პიტერ ნიუმარკის მთარგმნელობით სტრატეგიებზე დაყრდნობით. ანალიზი მოიცავს პრეამბულასა და 54 მუხლს და ეფუძნება 2020 წელს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებულ თარგმანს, რომელიც თამარ ლაკერბაიას, გვანცა გუგეშაშვილისა და ნონა გელაშვილის მიერაა შესრულებული.

ნიუმარკის მთარგმნელობითი სტრატეგიების გამოყენების საფუძველზე შესაძლებელი გახდა იმ გამოწვევებისა და თავისებურებების გამოვლენა, რომელთაც მთარგმნელები ხვდებოდნენ თარგმნისას. ანალიზმა დაადასტურა, რომ მთარგმნელობითი სტრატეგიის არჩევანი ხშირ შემთხვევაში განპირობებული იყო ენობრივი და კულტურული განსხვავებებით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი გამოწვევა, მათ შორის წყარო და სამიზნე ენებს შორის არსებული გრამატიკული შეუთავსებლობა, ტერმინოლოგიური ეკვივალენტების არ არსებობა და წინადადებების კომპლექსურობა, რომელიც თარგმნისას სამართლებრივ და ლინგვისტურ სიცხადეს მოითხოვს.

შესაბამისად, კვლევამ აჩვენა, რომ ქართულ ენაზე სამართლებრივ თარგმნას ხელშეწყობა სჭირდება, რაც ტერმინოლოგიური ბაზების განვითარებას და ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნას მოიცავს. აღნიშნული ჩარჩო კოორდინაციას გაუწევს

სამართლებრივი დოკუმენტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტესა და სანდოობას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სამართლებრივი თარგმანი, მთარგმნელობითი სტრატეგიები, ტერმინოლოგიური ეკვივალენტურობა, გამოწვევა.

Abstract

Legal documents are one of the key foundations for the functioning of modern society. Accurate translation of such documents is particularly important, as the norms they contain define human rights, obligations, and intergovernmental relations.

This paper analyzes the English and Georgian versions of the Charter of Fundamental Rights of the European Union, based on Peter Newmark's translation strategies. The analysis encompasses the preamble and all 54 articles of the Charter based on the 2020 Georgian translation published by Sulokhan-Saba Orbeliani University Press, translated by Tamar Lakerbaia, Gvantsa Gugeshashvili, and Nona Gelashvili.

By applying Newmark's translation strategies, the study highlights the challenges and specific features encountered by translators in the translation process. The analysis confirms that linguistic, cultural, and legal differences often determine the choice of translation strategy. The research revealed several major challenges, including grammatical incompatibilities between the source and target languages, the lack of terminological equivalents, and the complexity of legal sentences, which demand both legal and linguistic clarity in translation.

Therefore, the study shows that legal translation in the Georgian language requires institutional support, which involves the development of terminological databases and the establishment of a legal translation framework. This framework would coordinate the translation of legal documents and international treaties while ensuring the accuracy and reliability of translation.

Keywords: Legal translation, translation strategies, terminological equivalence, challenge.

მადლობა

დიდ მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ელენე ტატიშვილს, მუდმივი მხარდაჭერის, მოწოდებული მასალებისა და რჩევებისთვის.